

რატომ მღერიან უცხოელები ტრადიციულ ქართულ სიმღერებს?

საუკუნეების მანძილზე საქართველოში ათასობით სამხმიანი სიმღერა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დღეს ცნობილია, რომ ეს სიმღერები წარმოადგენს ქართული კულტურისა და იდენტობის საძირკველს. ბოლო 15 წლის მანძილზე ეს ფენომენი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეციაში, ინგლისსა და საფრანგეთში არსებობენ ანსამბლები, რომლებიც ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერიან. ბოლო ათწლეულში ქართველთა მასიური ემიგრაცია არ არის ამ დაინტერესების მიზეზი. ანსამბლის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა უცხოელია და არა ქართველი.

რატომ მღერიან ამ მუსიკას უცხოელები და რა სიამოვნებას იღებენ ისინი ამ მუსიკიდან?

ერთი ფრანგის თვალსაზრისი და პასუხის მცდელობა

მე ვარ ლორან სტიფანი, 39 წლის. 9 წელია ქართულ ხალხურ სიმღერებს ვმღერი ორ სხვადასხვა ჯგუფში. ეს ანსამბლებია: „მარანი“ და „მზე შინა“, ეს უკანასკნელი 2004 წლის სიმპოზიუმზე არის წარმოდგენილი. ორივე ფრანგული ანსამბლია (თავადაც საფრანგეთში ვცხოვრობ). შემდგომი მოსაზრებანი გამომდინარეობს ჩემი, როგორც მომღერლისა და მასწავლებლის დაკვირვებებიდან, რომელსაც ქართული სიმღერების საკმაოდ დიდი რაოდენობა აქვს შესწავლილი. ეს არის დასავლეთევროპელის სუბიექტური თვალსაზრისი.

დარწმუნებული ვარ, უცხოელები მოხიბლულნი არიან ქართული მუსიკის, როგორც **ესთეტიკური**, ისე **პედაგოგიური ასპექტებით**.

ესთეტიკურ მიზეზებზე საუბარი ძნელია, რადგან მსჯელობა ხშირად სუბიექტურ მოსაზრებას ეყრდნობა. მე შევჩერდები პედაგოგიურ ასპექტებზე. შემოთავაზებული ანალიზის გამოყენება შესაძლებელია სხვა პოლიფონიურ ტრადიციებთან მიმართებითაც. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული პოლიფონია თავისი არსით უნიკალურია. ქართული მუსიკის ექსტრაორდინალობის, სიძლიერისა და სინატიფის სიტყვებით აღწერა პოეტებისთვის მიმინდვია, რადგან მათ ეს ჩემზე უკეთ ხელეწიფებათ.

სამხმიანი პოლიფონია

ტრადიციული ქართული მუსიკა სახეზეა მხოლოდ იქ, სადაც სამი ხმა იმღერება. ეს სიმღერები (დიდი უმრავლესობა) შედგენილია სამი მელოდიისგან, რომლებიც ერთდროულად სრულდება. ერთი ხმის ცალკე სიმღერა ნაკლებ საინტერესოა. ამის საპირისპიროდ, სამი ხმის ქარგა, ნამდვილ ინტერესს იწვევს.

ამ მუსიკის სიმღერის მოტივაცია, ჩემი აზრით, რაღაც კოლექტიურის შექმნის მცდელობაა, ინდივიდუალურის საპირისპიროდ. დასავლეთში ოჯახის სტრუქტურა ძალიან შესუსტებულია და ჩვენ უფრო და უფრო მეტად ვცხოვრობთ როგორც ინდივიდუალები. მაგრამ, თუ აპირებ იმღერო ქართული სიმღერა, მაშინ მოგიწევს შენება სხვასთან ერთად და არა ინდივიდუალურად. სიმღერისას იქმნება მომენტი, როცა შენ რაღაცას უნაწილებ და ხარ სხვაზე დამოკიდებული.

ამ მუსიკაში ჩვენ არსებითად ერთმანეთი გვჭირდება. სიამოვნებაა, იმღერო შენი მელოდია იმავდროულად, როცა შენი მეზობელი სხვას მღერის; მოისმი-

ნო განსხვავებული ხმების ურთიერთშეხება და ურთიერთშეხვევა. როდესაც ვმღერით, საკუთარი ხმა არ გვესმის, უფრო სწორად, გვეძლევა საშუალება მივალწიოთ საკუთარი ხმის ისეთ განზომილებას, რომელიც წარმოჩნდება სხვა ხმებთან სინთეზში.

სწავლა ზეპირი გადაცემით – ყველასათვის მისაწვდომი მუსიკა

ქართული სიმღერების შესრულებისთვის არ არის საჭირო მუსიკალური განათლება, რადგან ჩვენ არ ვიყენებთ ჩანერილ მუსიკას, ან შექმნილ მუსიკალურ ჩვევებს. სხვადასხვა ხმა შეიძლება ისწავლო ოსმოსის საშუალებით, როგორც ეს საქართველოშია. ჩვენ ვიმეორებთ მასწავლებლის მიერ ნამღერს მანამ, სანამ მელოდიას გულით არ დავიმახსოვრებთ. ერთად სიმღერამდე ჩვენ ვსწავლობთ ცალ-ცალკე ხმებს: ბანს (ყველაზე დაბალი ხმა), მეორე ხმას (შუა ხმა, რომელიც ძირითადად იწყებს სიმღერას) და პირველ ხმას (ყველაზე მაღალი ხმა).

ეს რეპერტუარი არც ისე ადვილი სამღერია უცხოელისათვის, მაგრამ ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, ნებისმიერ მონდომებულ ადამიანს შეუძლია მიიღწიოს წარმატებას. ვგულისხმობ იმ შემთხვევებს, სადაც არ არის ბევრი ტექსტი, ძნელი გამოთქმები (განსაკუთრებით ძნელი წარმოსათქმელია ყელისმიერი ბგერები უცხოელისათვის) და მელოდიები, რომლებიც არ არიან ძალიან დატვირთულნი. მეტიც, ეს რეპერტუარი არ მოითხოვს კლასიკური, დასავლეთევროპული ოპერის მსგავსად დაყენებულ ხმას. ნებისმიერი ხმა გაიჟღერებს კარგად, თუ ის სავსეა და მდიდარი. ეს მუსიკა პოპულარულია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, იგი ხალხის ამონათქვამია.

ფიზიკური დატვირთვა

როდესაც ჩვენ ვუყურებთ ქართველებს ტრადიციული სიმღერების შესრულებისას (ეს მაგალითია ჩვენთვის, როგორც უცხოელი მომღერლებისთვის), ხშირად გაოგნებულნი ვრჩებით უდიდესი ფიზიკური დატვირთვით. ეს სიმღერები დიდ ენერგიას მოითხოვს.

სიმღერისათვის ხშირად ვიყენებთ ფიზიკური მომზადების ტექნიკას, რომელსაც ვფლობთ თეატრალური და საცეკვაო დისციპლინებიდან. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქართველები არ იყენებენ ან არ სჭირდებათ მსგავსი ვარჯიშები. ტრადიციული ქართული სიმღერებით უცხოელთა მოხიბვლის ერთერთ ასპექტს ეს ფიზიკურობა განსაზღვრავს, სიმღერის მთელი ხმით და სხეულით შესრულება. გრძნობდე საკუთარ სხეულს ყოველი ბგერის გამოცემისას, იმდენო იმავდროულად ენერგიულად და მოდუნებით, ეს ყველასათვის დიდი სია-მოვნებაა.

არატემპერირებული ნოტები

ტრადიციულ ქართულ სიმღერაში არ არის ნოტები, რომელიც ფორტეპიანოს ტემპერირებულ წყობას ემთხვევა და რომელზედაც იგებოდა დასავლური მუსიკა ბოლო საუკუნეების განმავლობაში. სახეზეა მიკრო განსხვავებანი. მაგალითისთვის, ჩვენ გიმღერებთ კვინტის ინტერვალს ოდნავ მაღლა, ვიდრე ფორტეპიანოს კვინტაა და ასევე ტერციას, რომელიც მაჟორულ და მინორულ ტერციას შორის იჟღერებს. უდიდესი პრაქტიკისა და მოსმენის წყალობით უცხოელ მომღერლებს შეუძლიათ წარმოქმნან ეს რაფინირებულობა და შეეხონ ჰარმონიისა და ობერტონების ამოუნურავ სამყაროს.

ობერტონები

შეგახსენებთ, რომ ეს საქართველოს საზღვრებს გარეთ შესწავლის საგანია. არც ერთ ჩვენს ქართველ მასწავლებელს არაფერი უთქვამს ობერტონების აუცილებლობის შესახებ. მაგრამ საფრანგეთში ვმუშაობთ ობერტონების მოსმენაზე, შეცნობასა და შექმნაზე, რადგან აუცილებლობად მიგვაჩნია ქართული სიმღერების შესწავლისათვის.

მეცნიერულმა კვლევამ დაამტკიცა, რომ თითოეულ ჟღერადობაში არის საყრდენი ბგერა (ის, რაც ისმის ყველაზე ძლიერად) და ასევე ობერტონები (მაღალი სიხშირეები ანუ სხვა ბგერები, რომელიც ჟღერადობაში არსებობს, მაგრამ ნაკლებად ისმის. თუმცა, თუ ყურადღებით დავუგებებთ ყურს, მათი მოსმენა შესაძლებელია. ასევე შესაძლებელია ზოგიერთი მათგანის გაძლიერება სიმღერის დროს).

საბოლოო ჯამში, ქართულ სიმღერაში სამ ხმას შორის ურთიერთშეთანხმება დიდად არის დამყარებული ობერტონების შესწავლასა და შექმნაზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მომღერლები ამაზე არაფერს ამბობენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვდგავართ ცოდნის წინაშე, რომელიც უფრო პრაქტიკაზეა დამოკიდებული, ვიდრე თეორიაზე.

მოკლედ რომ ავხსნათ, მეორე ხმა (რომელიც იწყებს სიმღერას) ქმნის ობერტონებს, რომელიც იმ მელოდიური ხაზის ზემოთ არის, რასაც მღერის. თუ ბანი და პირველი ხმა ყურადღებით მოძებნიან თავიანთ ნოტებს (ბგერებს), ისინი მოთავსდებიან იმ ბგერებთან და ობერტონებთან კავშირში, რომლებიც უკვე წარმოდგენილი არიან და გააძლიერებენ კიდევ ზოგიერთ მათგანს. ფაქტობრივად, თითოეული ხმა ქმნის ობერტონებს ძირითადი მელოდიის ზემოთ და ეს ობერტონები აერთიანებენ სამივე ხმას. ეს სამი ხმა აძლიერებს ერთმანეთს, რადგან მათ აქვთ საერთო ბგერები (ნოტები) ობერტონების მეშვეობით. ეს არის ის, რასაც ჩვენ ვეძახით „კათედრალურ ეფექტს“. ჯგუფის ხმა ხდება უფრო ძლიერი და მდიდარი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს უფრო მეტი ვმღერით, ვიდრე სინამდვილეში ვართ.

მრავალ სიმღერაში (განსაკუთრებით გურულში) არის უტექსტო ნაწილები, რომლებიც ხმოვანთა ცვლილებებს ემყარება. მაგ.: „დილაჲო, დილაჲო, ნანინაჲო, ნანინაჲო“. ისინი გვთავაზობენ განსხვავებული ობერტონების უცარ სერიას. ხმოვანთა ცვალებადობით ჩვენ „ვანთებთ“ სხვადასხვა ობერტონებს, მათი ცვალებადობა ჰარმონიაში მოდის ბგერათა ცვალებადობასთან და ამდიდრებს მათ.

სხვათაშორის, არსებობს გრძნობათა სიმრავლე, რომელიც დაკავშირებულია ამ ერთიანობასთან. მაგალითად, შეგვიძლია ვიგრძნოთ ხმები, რომლებიც ბრუნავენ და ხმაურობენ შენს გარშემო.

ენა

სხვა ენაზე სიმღერა ნიშნავს, გამოსცადო წარმოთქმის სიამოვნება ისე, რომ არ იყო შეზღუდული გამოთქმული სიტყვის მნიშვნელობის არცოდნით. სიტყვებს ვიმახსოვრებთ ინტელექტუალური მექანიზმით. ქართული სიმღერის მრავალი არაქართველი მომღერალი არ ლაპარაკობს ქართულად თავისუფლად (გამონაკლისები არიან: კარლ ლინიქი და ფრანკ კეინი). სიმღერის სიტყვათა მნიშვნელობა თავდაპირველად უცნობია შემსრულებლებისათვის.

სიტყვა, ეს არის ფონემათა ერთობა, რომელთაც თავისი მუსიკალობა გააჩნიათ. ამ მუსიკალობის აღმოჩენა უფრო ადვილია უცხო ენაში, რადგან შენი

საკუთარი ენა შენთვის მახლობელია ანუ სიტყვის არსი ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჟღერადობა.

ზოგიერთი არაქართველი მომღერალი საკუთარ თავში აღმოაჩენს „ძველ“, ბავშვობისდროინდელ სიამოვნებას. მაგ.: როდესაც სიტყვის ეტიმოლოგიის გაგებაამდე ბგერათა ჟღერადობას იჭერ და ითვისებ, ანუ ხმამაღლა გამოთქვამ ფონემებისგან შემდგარ სიტყვას მისი მნიშვნელობის ცოდნის გარეშე.

ფესვები

ბევრი არაქართველი მომღერალი ქართული ხალხური სიმღერის შესწავლამ დააბრუნა თავის ფესვებთან. გვაქვს ასეთი მაგალითი ერთი ფრანგი გოგონასი, რომელიც დაინტერესდა ბრეტონული ცეკვებით (რეგიონი დასავლეთ საფრანგეთში, მდიდარი საკუთარი ენით და ტრადიციული კულტურით) მას შემდეგ, რაც მოისმინა და ისწავლა სვანური „ფერხული“.

50 წლის წინ მოსახლეობა საფრანგეთში უმეტესწილად სოფლად ცხოვრობდა. დღევანდელ დღეს ვითარება შეცვლილია. ეს ცვლილება ბოლო ორ თაობაში მოხდა. ქართული სიმღერების მღერა, რომლებიც მუშაობასთან და რიტუალებთან არის დაკავშირებული ჩემს წარსულში მაბრუნებს. ეს დაბრუნება უდიდესი ბედნიერებაა ჩემთვის.

ხანდახან დროისა და სივრცის საზღვრები ბურუსით მოცული ხდება ჩემს ცნობიერებაში. ახლა საქართველოში ქალები და კაცები თიბავენ ყანას, მოჰყავთ მარცვლეულისა და ყურძნის მოსავალი, წველიან ძროხას. ფრანგულ სოფელში მცხოვრები ჩვენი ბებია-ბაბუებიც ხომ იგივე საქმიანობას ეწეოდნენ? და, თუ ვაჟა გოგოლაძე, ისლამ ფილფანი, პოლიკარპე ხუბულავა და სხვა უდიდესი მომღერლები, ჩემი მასწავლებლების მსგავსი ხალხი, ჩემს გულში იპოვიან თავიანთ ადგილს, მე მივიღებ მათ და ისინი მიმიღებენ მე, ისინი დაიკავებენ ჩემი ბებია-ბაბუის გვერდით (რომლებიც გარდაცვლილები არიან) სულიერი ბებია-ბაბუის ადგილს. ნუთუ ეს მე არ უნდა მიხაროდეს?!

მე ვმუშაობ ქართულ სიმღერაზე და მისგან მიღებული სიამოვნება იმდენად დიდია, რომ დარწმუნებული ვარ, ეს მუსიკა სიცოცხლის ბოლომდე ჩემი მეგზური იქნება.

თარგმნა ინა ინარიძე